Partnership for Good Governance
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II

საინფორმაციო ბიულეტენი
ივლისი - აგვისტო, 2017

პირველად საქართველოში სასწავლო პროგრამა ფსიქიატიული ექთნებისთვის

ევროპის საბჭო და ევროკავშირი განაგრძობენ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დახმარებას პენიტენციურ სისტემაში მომუშავე ფსიქიატრიული ექთნების გადასამზადებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე.

2017 წლის ივნისი-ივლისის განმავლობაში ევროპის საბჭოს ექსპერტთა გუნდის მიერ წინასწარ შემუშავებული პროგრამის საფუძველზე 15 ფსიქიატრიული ექთანი გადამზადდა .

ფსიქიატრიული ექთნები ასრულებენ ცენტრალურ როლს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, როგორც კლინიცისტები, შემთხვევის მმართველი ექიმები, კლინიკური ექთნები და პრაქტიკოსი ექთნები. ისინი, როგორც მულტი-დისციპლინარული გუნდის ნაწილი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფსიქიკური დაავადების მართვაში..

იხილეთ მეტი ...

სუიციდის პრევენცია სასჯელაღსრულების სისტემაში

ევროპის საბჭო და ევროკავშირი აგრძელებენ მუშაობას საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოლოგთა, ფსიქიატრთა და სოციალურ მუშაკთა შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, ციხეებში სუიციდის პრევენციის პროგრამის (სპპ) უკეთ ადმინისტრირებისათვის. ამ მხარდაჭერის ნაწილია დაკვირვება სუიციდის პრევენციის მულტიდისციპლინური გუნდების მუშაობაზე.
აღნიშნული აქტივობის ფარგლებში ევროსაბჭოს 3 ადგილობრივმა ექსპერტმა ზედამხედველობა გაუწია სუიციდის პრევენციის მულტიდისციპლინური გუნდების მუშაობას წინასწარ შერჩეულ დაწესებულებებში.

იხილეთ მეტი ...

მორიგი საგრანტო ხელშეკრულება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან

ევროპის საბჭო ეხმარება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ციხის პერსონალის, მმართველებისა და განყოფილების ხელმძღვანელების გადამზადებაში. ამასთან დაკავშირებით სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ 4 გადასამზადებელი კურსის ადმინისტრირების ფარგლებში გაიცა მორიგი გრანტი. გრანტის გაცემის შედეგად ციხის პერსონალი გადამზადდა შემდეგ საკითხებზე: მართვა, სტრატეგია და ციხის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისფულებების ორგანიზება, პერსონალური მონაცემები და მათი უსაფრთოხების დაცვა პენიტენციურ სისტემაში.

იხილეთ მეტი ...

საინფორმაციო შეხვედრები სუიციდის პრევენციის პროგრამის ფარგლებში

ევროკავშირი და ევროსაბჭო მხარს უჭერენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ციხის პერსონალის ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას, სუიციდის პრევენციისა და მისი მექანიზმების თაობაზე.
აღნიშნულთან დაკავშირებით ევროსაბჭოს 15-მა ადგილობრივმა კონსულტანტმა ორგანიზება გაუწია სამინისტროში მცირე ზომის შეხვედრების გამართვას. შეხვედრა ორ ჯგუფად ჩატარადა. თითოეულ შეხვედრას 16-მდე მონაწილე დაესწრო, როგორც ციხის რეჟიმის, ასევე სოციალური და ჯანდაცვის განყოფილებიდან .

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გასაუმჯობესებლად!